პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

17 იანვარი, სამშაბათი, 1989 წ.
№ 12 (9929) ⊙ ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

## საქველმოქმედო ტურნირი

**მოსკოვში** „დრუჟბას“ უნივერსალურ დარბაზში ჩატარდა ჩოგბურთელთა უჩვეულო სამდღიანი ტურნირი, რომლის შემოსავალი გადაეცა სომხეთში მიწისძვრისგან დაზარალებული რაიონების ბავშვთა დახმარების ფონდს. წყვილთა შეჯიბრების მონაწილენი იყვნენ წარსულში ცნობილი ჩოგბურთელები და სპორტსმენები, საბჭოთა კავშირის არაერთგზის ჩემპიონები სერგეი ლიხაჩოვი, თეიმურაზ კაკულია, ვადიმ ბორისოვი, სახელმოხვეჭილი მძლეოსნები, ოლიმპიადის სამგზის ჩემპიონი ვიქტორ სანეევი, ევროპის მრავალგზის ჩემპიონი იგორ ტერ-ოვანესიანი, აგრეთვე მფრინავი კოსმონავტი იგორ ვოლკი და სხვა.

ფინალში ლიხაჩოვმა და სპორტკომპლექს „ჩაიკას“ დირექტორმა ალექსეი რასტვოროცევმა დაამარცხეს საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი რამიზ ახმეროვი და მოსკოვის პოლიტექნიკური ინსტიტუტის კათედრის გამგე ლევ კოფმანი — 6:2, 6:3. მესამე ადგილზე გავიდნენ სსრ კავშირის სპორტსახკომის ფეხბურთისა და ჰოკეის სამმართველოს უფროსი, ფიფა-ს ვიცეპრეზიდენტი ვიაჩესლავ კოლოსკოვი და სპორტის ოსტატი სერგეი ბოგდანოვი, რომლებმაც აჯობეს სსრ კავშირის ჩოგბურთის ფედერაციის თავმჯდომარეს ვოლკს და სსრ კავშირის ვაჟთა ნაკრების მწვრთნელს შამილ ტარპიშჩევს — 6:4, 6:4.

„მართალია ჩოგბურთს ხშირად არ ვთამაშობ, მაგრამ ამ ტურნირში სიამოვნებით მივიღე მონაწილეობა“ — განაცხადა ტანვარჯიშში მსოფლიოს ექსჩემპიონმა იბერპარდ გინგერმა (გფრ). [illegible] წარსულში [illegible] ჰოკეისტი სვენ იუჰანსონი, მერსახელად „ტუმბა“ [illegible] შეჯიბრებებშიც [illegible], სადაც მათი პარტნიორები იყვნენ ჩვენი ქვეყნის საუკეთესო ჩოგბურთელი ქალები ნატალია ზვერევა და ლარისა სავჩენკო.

ამ საქველმოქმედო ტურნირის ფონდში თავისი წვლილი შეიტანა შეჯიბრების ყველა მონაწილემ, სპონსორები კი იყვნენ: სამეცნიერო-ტექნიკური კოოპერატივი „ტერმინალი“ და საზღვარგარეთის ფირმები — „ტიუსენი“, „ვესტდოიჩე ბანკი“, „სიმენსი“, „ლიუფტჰანზა“, „ადიდასი“, „მერსედეს ბენცი“, „ფეროსტალი“ და სხვ.

## მოსკოვი ემზადება

**მოსკოვში** წლეულს მოკრივეთა მსოფლიო ჩემპიონატი ტარდება. ტურნირისთვის ჩვენი ქვეყნის დედაქალაქი დიდი მონდომებით ემზადება. ამ სამზადისით კმაყოფილი დარჩა სამოყვარულო კრივის საერთაშორისო ასოციაციის (აიბა) გენერალური მდივანი კარლ-ჰაინც ვერი (გდრ), რომელიც მოსკოვში იმყოფებოდა, დეტალურად გაეცნო ჩატარებულ მუშაობას და ესაუბრა საორგანიზაციო კომიტეტის ხელმძღვანელს, საბჭოთა კავშირის სპორტსახკომის თავმჯდომარის მოადგილეს ანატოლი კოლესოვს.

შეჯიბრება დაიწყება 17 სექტემბერს დიდი საესტრადო სანახაობის შემდეგ, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ პოპულარული მსახიობები. ნახევარფინალური შეხვედრები გაიმართება 27 და 28 სექტემბერს, ფინალები კი 30 სექტემბერს — 1 ოქტომბერს. 29 სექტემბერს — დასვენების დღეს მოეწყობა საერთაშორისო სიმპოზიუმი თემაზე „ოლიმპიური კრივი დღეს“.

ჩემპიონატის აღმასრულებელი დირექტორის იური ზოლოტარიოვის განცხადებით მოკრივეთა მოსკოვის ფორუმი მონაწილეთა რაოდენობის მხრივ სარეკორდო იქნება. უკვე მიღებულია განაცხადები ავსტრალიიდან, ავსტრიიდან, უნგრეთიდან, განიდან, ჰონდურასიდან, ესპანეთიდან, კოსტა-რიკიდან და აშშ-დან. განაცხადების მიღება შეწყდება ჩემპიონატის დაწყებამდე 15 დღით ადრე.

შეხვედრები სპორტკომპლექს „ოლიმპიისკის“ არენაზე გაიმართება, ე.ი. სადაც მოსკოვის ოლიმპიადის ბრძოლები ტარდებოდა. მოკრივეებს ექნებათ გფრ-ში დამზადებული ხელთათმანები და მუზარადები. შეჯიბრებას მოემსახურება სპორტული ტექნიკის საკავშირო ინსტიტუტში დამზადებული ელექტრონული სამსაჯო აპარატურა.



ჩემპიონატის ორგანიზაციაში აქტიურ წვლილს შეიტანენ ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ორგანიზაციები: ასე მაგალითად, აეროფლოტი მონაწილეთათვის შეღავათიან ტარიფებს დააწესებს, ლვოვის ცენტრალური გაერთიანება „ელექტრონი“ იკისრებს სპონსორობას და ჩემპიონატის სასარგებლოდ 100 ათას მანეთს გადარიცხავს.

მოსკოვის მსოფლიო ჩემპიონატი რიგით მეხუთე იქნება. წინა ჩემპიონატებს მასპინძლობდნენ: ჰავანა (1974 წელს), ბელგრადი (1978), მიუნხენი (1982) და აშშ-ს ქალაქი რინო (1986).

## თბილისის „დინამო“ საერთაშორისო ტურნირზე

**ზაარბრიუკენში** დამთავრდა საერთაშორისო ტურნირი მინიფეხბურთში. ამ შეჯიბრებაზე, როგორც ვიუწყებოდით, მიწვეული იყო თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელთა გუნდიც.

პირველი შეხვედრა დინამოელებს ზაარბრიუკენის გუნდთან ჰქონდათ. თამაში დამთავრდა თბილისელთა გამარჯვებით — 3:2. მომდევნო თამაშები ჩვენი გუნდის მონაწილეობით ასე დამთავრდა: „ბორუსია“ (მიონხენგლადბახი) — „დინამო“ (თბილისი) 1:1, „ბლაუვაისი“ (გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა) — „დინამო“ (თბილისი) 4:3, „ვიძევი“ (პოლონეთი) — „დინამო“ (თბილისი) 3:7, „დინამო“ (კიევი) — „დინამო“ (თბილისი) 2:2.

ტურნირზე პირველ ადგილზე კიევის დინამოელები გავიდნენ, რომლებმაც დამატებით მატჩში სძლიეს „ბორუსიას“ — 6:5. თბილისის დინამოელებმა ტურნირში მესამე ადგილი დაიკავეს.

**თბილისის „დინამოს“ საფეხბურთო კლუბის დამფუძნებელი კონფერენცია ჯერ არ ჩატარებულა, ანგარიშის ნომერი არ გამოცხადებულა, მაგრამ ქართული ფეხბურთის ფლაგმანის, თბილისის „დინამოს“ გულშემატკივრები და ცალკეული ორგანიზაციები რესპუბლიკის სხვადასხვა კუთხეში უკვე მზად არიან გაწევრიანდნენ კლუბში და პირადი შენატანით საფუძველი განუმტკიცონ ახალშექმნილ კლუბს, რომელიც ამიერიდან სრულ სამეურნეო ანგარიშზე გადადის.**

იხ. მე-2 გვ.



პირველი შეხვედრა პროფესიული კლუბების დონეზე. თბილისის „დინამოსა“ და „ვერდერის“ თბილისში გამართული ამასწინანდელი მატჩის ფრაგმენტი.
ზურაб გენგიურის ფოტო.

## კვალში მიჰყვება

**ოდესაში** გრძელდება სსრ კავშირის პირველობა 1971 წელს დაბადებულ მოჭადრაკე გოგონათა შორის. 8 ტურის შემდეგ 7 ქულით შეჯიბრებას ლიდერობს რუსეთის ფედერაციის წარმომადგენელი კორკინა. მას ნახევარი ქულით ჩამორჩება ლენინგრადელი კიბრიკი. ლიდერებს კვალში მიჰყვება ნიკოლაძე, რომელმაც 6 ქულა მოაგროვა. ხურციძეს და ეძგვერაძეს — 5-5 ქულა აქვთ, ლებანიძეს — 4,5, დარჩიას — 4.

**თამარ ხუბაშვილი** (დეპეშით).

### ბეისბოლი, ბაზბურთი, კეტბურთი თუ...

## იქნებ ბილაბურთი?

რიკტაფელას და ჩილიკაობას ქართლში ტანტრაბილას ეძახიან. იგივე თამაშს მესხეთში ტანტრა-ჩილიკას უწოდებენ (იხ. ალ. ღლონტი, „ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა“), ხოლო აჭარაში ბილას (შ. ნიჟარაძე, „ქართული ენის აჭარული დიალექტი“).

ბილა სათამაშო ჯოხია, რომელსაც ჩილიკის, რიკის მნიშვნელობა აქვს. სულხან-საბას „სიტყვის კონაში“, აგრეთვე იმერულ დიალექტში ბილას სხვა განსაზღვრება აქვს, თუმცა ისიც რიკტაფელასთანაა დაკავშირებული (ქ. ძოწენიძე, „ზემოიმერული ლექსიკონი“, ვ. გაჩეჩილაძე, „იმერული დიალექტის სალექსიკონო მასალა“).

ერთი სიტყვით, კეტის ან რიკის ნაცვლად იქნებ შედარებით უცნობი სიტყვა — ბილა — გამოგვეყენებინა და ბეისბოლისათვის ბილაბურთი გვეწოდებინა.

**ვახტანგ დოხნაძე.**

## ძელსხარი - მეთხოვა

**ბარსელონა.** ოლიმპიურმა ჩემპიონმა სერგეი ბუბკამ მოიგო საერთაშორისო ტურნირი — „ოქროს ჰოკი“. ამისთვის საკმარისი აღმოჩნდა 570 სანტიმეტრის დაძლევა. მეორე და მესამე ადგილებზე გასულმა სკოტ დევისმა (აშშ) და ფილიპ კოლემ (საფრანგეთი) მხოლოდ 550 სმ აჩვენეს.

### გარდაქმნის შესატყვისად

ყურადღება, სიახლეა!

## საგანგებო ჯგუფები მეკარეებისათვის

**სსრ კავშირის** ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება ოლიმპიური რეზერვის ბავშვთა და მოზარდთა სპეციალიზებული სპორტული სკოლების დაკომპლექტებაში ცვლილებების შეტანის შესახებ. ამიერიდან ამ სკოლებს (წყალბურთი, ხელბურთი, ბალახის ჰოკეი, ბურთიანი ჰოკეი, შაიბიანი ჰოკეი, ფეხბურთი) უფლება ეძლევათ მომეცადინეთაგან დამატებით დააკომპლექტონ მეკარეთა ჯგუფები. სასწავლო-სპორტულ ჯგუფებში მეცადინეობის ხანგრძლივობა შეადგენს 6-8 საათს, მომეცადინეთა რაოდენობა კი განსაზღვრულია 6 სპორტსმენით. სპორტული სრულყოფის ჯგუფში კი შესაბამისად 10-12 საათი და 4 მომეცადინე.

• • •

**სსრ კავშირის** სპორტსახკომმა ცვლილებები შეიტანა აგრეთვე ბავშვთა და მოზარდთა სპორტული სკოლებისა და ოლიმპიური რეზერვის სპეციალიზებული, აგრეთვე უმაღლესი სპორტული დაოსტატების სკოლების ამჟამად მოქმედ დებულებაში. ცვლილებები ითვალისწინებს სასწავლო წლებისა და მომზადების ეტაპების მიხედვით ჯგუფების დაკომპლექტების (ძირითადად — მომეცადინეთა ასაკი და რაოდენობა) ახალ წესს. ცვლილებები ეხება აკრობატიკის, სპორტული და მხატვრული ტანვარჯიშის, ბატუტზე ხტომის ჯგუფებს.

დაწვრილებითი ცნობები სიახლეების შესახებ შეგიძლიათ მიიღოთ საქართველოს სპორტსახკომის მთავარ სპორტულ სამმართველოში.

**როგორც** უკვე გაცნობეთ, საქართველოს პროფსაბჭოს მძლეოსნობის სასახლეში ჩატარდა ბავშვთა და მოზარდთა მძლეოსნობის სპეციალიზებული სკოლების რესპუბლიკური პირველობა. შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ 14-17 წლის მოზარდები, ისინი, რომელთა შედეგებიდან უკვე შეგვიძლია ვიმსჯელოთ მძლეოსნობის მდგომარეობაზე მთელს რესპუბლიკაში, ზოგი მსჯელობა აქლა აშკარად საჭიროა, ბოლო ხანს „სპორტის დედოფალს“ ჩვენში თანდათან უკან წაუვიდა საქმე.

მასალას ამ ასპარეზობის შესახებ გაზეთ „ლელოს“ უახლოეს ნომერში შემოგთავაზებთ.



სურათებზე: გოგონებისა და ჭაბუკების შეჯიბრების ეპიზოდები 800-მეტრიან დისტანციაზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხარვეზებზე — საჯაროდ! — სკოლა კი ქვია, მაგრამ...

# სათვალავში გვეთვლება, საქმეში არა

**საქართველოში** უნდა იზრდებოდნენ საუკეთესო სამთო მოთხილამურეები. ეს, რომ იტყვიან, აქსიომაა. ამისათვის ჩვენში ხომ უნიკალური ბუნებრივი პირობები არსებობს. ამის შესახებ არაერთხელ ითქვა, მრავალჯერ დაიწერა, მაგრამ დიდად არაფერი შეცვლილა.

...განათლების სამინისტროს ბავშვთა და მოზარდთა რესპუბლიკურ სამთო-სათხილამურო სპორტსკოლა გუდაურში 10 წლის ისტორიას ითვლის. მაგრამ რა?!. სკოლის მოსწავლეებმა საკავშირო პირველობაზე გუნდურ ჩათვლაში 30-ე ადგილზე უკეთეს შედეგს ვერ მიაღწიეს. დაგვერწმუნებით, ვერაფერი იმედისმომცემი პერსპექტივაა!..

ამ ხნის განმავლობაში სპორტსკოლა, რომელსაც უკანასკნელ წლებში გელა მიქაბერიძე უდგას სათავეში, რესპუბლიკის ნაკრებ გუნდებს, შეიძლება ითქვას, „უხარისხო" სამთომოთხილამურეებით კვებავს. ამიტომაა, რომ საკავშირო, რომ არაფერი ვთქვათ საერთაშორისო მასშტაბის შეჯიბრებებზე, ჩვენი სამთომოთხილამურენი მეტწილად უკანასკნელ ადგილებს „იკავებენ".

გამოდის, რომ ზემოხსენებული სპორტსკოლის ერთადერთ მიღწევად უნდა ჩაითვალოს მხოლოდ, ის, რომ იგი უმაღლესი დაოსტატების სპორტულ სკოლას ბაკურიანში ყოველწლიურად თავის რამდენიმე აღსაზრდელს აწვდის. ასეთები ამჟამად რვანი არიან, სულ კი საქართველოს ნაკრებში გუდაურის სპორტსკოლიდან გამოსულია ცხრა სპორტსმენი. ჭძიმედ და ძალზე სუსტად მიმდინარეობს მათი წინსვლა უმაღლესი სპორტული დაოსტატების სპორტსკოლაშიც. მწვრთნელები თავის მხრივ ამ ფაქტს იმით ხსნიან, რომ სპორტსკოლიდან ძალიან „ნედლი მასალა" მოდის, მათი დონე შორსაა საკავშირო „სტანდარტებისაგან".

რა თქმა უნდა, იმის გარკვევა, თუ რომელი რგოლი მუშაობს უფრო სუსტად, ერთობ საჩოთირო საქმეა, მაგრამ საყოველთაო აზრით, ერთიც და მეორეც უსისტემოდ მუშაობს. რაკი საუბარი გუდაურის სკოლით წამოვიწყეთ, ისევ ამ სკოლაზე შევჩერდებით. აბა, რა წარმატებაზე შეიძლება ლაპარაკი, როდესაც მისი 25 მწვრთნელიდან... მხოლოდ ორია კვალიფიციური სპეციალისტი, მათ შორის ერთი კი მოსკოვიდანაა მოწვეული.

ანდა, საიდან უნდა მოდიოდნენ ჩვენს სამთო-სათხილამურო სპორტში სპეციალისტები, როცა ისინიც კი, ვინც ფიზკულტურის ინსტიტუტს ამთავრებს სპეციალობით, არ იწვევენ სამუშაოდ. რატომ? ამას ალბათ ერთმნიშვნელოვნად ვერ ვუპასუხებთ. სამწუხაროდ, კვალიფიციური სპეციალისტების გამოჩენა პერსპექტივაშიც არა ჩანს.

დავინტერესდით, თუ ვინ არიან დღეს სამთო-სათხილამურო სპორტსკოლის მოსწავლეები. ნახევარზე მეტი თურმე **თბილისის მე-6 საშუალო სკოლის** წარმომადგენლები ყოფილან (აქ, 8 წლის ასაკიდან იღებენ ბავშვებს და ისინი სკოლის დამთავრებამდე ვარჯიშობენ). სხვათა შორის, ეს ბავშვები სწავლაშიც მოწინავენი არიან. მე-6 სკოლის გარდა თითო-ოროლა ბავშვი თბილისის სხვა სკოლიდანაც არის. ყოველივე ეს, ასე ვთქვათ, ხელოვნურად ზღუდავს ნიჭიერ სამთომოთხილამურეთა შერჩევის შესაძლებლობებს. არაფერს ვამბობთ იმ სავალალო ფაქტზე, რომ რესპუბლიკის რაიონებიდან სპორტსკოლაში არავინაა ჩამოყვანილი.

სამთო-სათხილამურო სპორტსკოლიდან დაოსტატების სკოლაში, რასაკვირველია, ყველა ვერ მოხვდება. მაშ სად მიდიან ისინი? უმეტესობა იძულებულია საერთოდ მიატოვოს სპორტი. აი, მეორე, ჩვენი აზრით, არანაკლებ საინტერესო კითხვაც: სად არიან უმაღლეს სასწავლებლებში ჩარიცხული „მოთხილამურეები"? სხვათა შორის, 60-იან წლებში ჩვენს უმაღლეს სასწავლებლებს სამთომოთხილამურეთა გუნდებიც ჰყავდათ და, ასე განსაჯეთ, თავიანთ პირველობებსაც ატარებდნენ რეგულარულად. დღეს ეს ტრადიცია, სამწუხაროდ, აღარ არსებობს.

1988 წლის ნოემბრიდან 1989 წლის იანვრამდე გუდაურში სამთომოთხილამურეთა სამი შეჯიბრება ჩაიშალა!.. მიზეზი, როგორც სპორტსკოლაში გვითხრეს, ასპარეზობის მონაწილეთათვის მწვრთნელებისა და მომსახურე პერსონალისათვის საცხოვრებელი ადგილის უქონლობა იყო. მართალია, თავად სპორტსკოლას გუდაურში აქვს საცხოვრებელი სახლი და საკუთარი საბაგირო გზაც, მაგრამ. საქმე ისაა, რომ საცხოვრებელი კორპუსი დღეს სასწრაფო რემონტს მოითხოვს.

ჩვენ შევხვდით ამ სპორტსკოლის აღსაზრდელთა მშობლებს, ნანა მეგრელიშვილსა და მანანა დუმბაძეს. როგორც გვითხრეს, ისინი ხშირად დაყვებიან თავიანთ შვილებს გუდაურში — „ჩვენი ბავშვების საყოფაცხოვრებო პირობები ელემენტარულ მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებს, მათ შორის კვების პროდუქტებიც".

ახლა სპორტულ ინვენტარზეც მოგახსენებთ. სპორტსმენებს სჭირდებათ სლალომის, გიგანტური სლალომის, სუპერგიგანტისა და სწრაფდაშვების სპეციალური თხილამურები ცალ-ცალკე. აღარ ვამბობთ იმას, რომ სხვადასხვა სიმკვრივის თოვლზე სხვადასხვა თხილამურია საჭირო. „სხვადასხვა თოვლზე" კი არა, ჩვენი მოთხილამურეები საერთოდ მწვავედ განიცდიან თხილამურებისა და სხვა ინვენტარის ნაკლებობას.

სამწუხაროდ, ამ მხრივ უკეთესი მდგომარეობა არც რესპუბლიკის ნაკრებშია. აქ ზოგიერთებს აქვს რამდენიმე წყვილი თხილამური, მაგრამ არიან ისეთებიც, ვისაც ერთი წყვილი თხილამური გააჩნია და ისიც, წარმოიდგინეთ, უვარგისი?!.

პრობლემები სამთო-სათხილამურო სპორტულ სკოლაში საკმაოდ ბევრია. შეთავსებით მომუშავე ენთუზიასტი მწვრთნელები, ალბათ, მაინც გარკვეულ სარგებლობას უწევენ მოზარდებს (სკოლაში 300 მოსწავლეა), მაგრამ მაღალი რანგის შეჯიბრებებისათვის მათი მომზადება მხოლოდ კვალიფიციური მწვრთნელის საქმეა.

ნუთუ გამოსავალი არ ჩანს?

გუდაურში ნავარაუდევია სკოლა-ინტერნატის გახსნა, მაგრამ რა? ამ საკითხის მოგვარება სავალალოდ ნელ ტემპში მიმდინარეობს. საჭიროა დავაჩქაროთ ეს საშური საქმე. ვფიქრობთ, ინვენტარის საკითხიც ერთხელ და სამუდამოდ დადებითად უნდა გადაწყდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში უკუსვლა, ასე ვთქვათ, თოვლის ადგილზე ტკეპნა კიდევ კარგახანს მოგვიწევს...

**გაბრიელ გარჯაძე,**
**„ლელოს" კორ.**
გუდაური.

როგორ ვისვენებთ დასვენების დღეებში?

## თუ პასუხისმგებლობა იქნება

**როგორც** უკვე ვიუწყებოდით, 1989 წლის იანვრიდან თბილისის ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტმა მთელი რიგი გამაჯანსაღებელი ღონისძიებები დაგეგმა დასვენების დღეებში. ჩვენს გაზეთში გამოქვეყნებული კალენდრის მიხედვით კვირას, 15 იანვარს, ვეწვიეთ თბილისის 75-ე პროფტექნიკურ სასწავლებელს, სადაც დილის 11 საათიდან მთელი დღის განმავლობაში კალათბურთში ასპარეზობდნენ 108-ე, 126-ე, 110-ე, 36-ე, მე-11, მე-18, 41-ე, 75-ე, მე-80 პროფტექნიკური სასწავლებლების მოსწავლეები. ღონისძიება კარგად იყო ორგანიზებული და არც მაყურებელი აკლდა...

ასე რომ, მთავარია მონდომება და საქმისადმი მეტი პასუხისმგებლობა. დაუსრულებელ თავის მართლებას, როგორც ჩანს, ისევ პრაქტიკული გზების ძიება ჯობს.

**თბილისის** სართავი ფაბრიკის ტერიტორიაზე შაბათს, 14 იანვარს, 18 საათიდან უნდა გამართულიყო მასობრივი შეჯიბრებები სამხედრო-გამოყენებითი სპორტის სახეობებში. „ლელოს" კორესპონდენტი იმ დღეს საწარმოს სპორტულ ბაზებზე მივიდა, მაგრამ იქ არავინ დახვედრია.

გუშინ რედაქციაში მოვიწვიეთ სპორტკლუბ „ფიქრის" თავმჯდომარე რევაზ გოგია და ვთხოვეთ განემარტა, თუ რატომ არ შედგა დაგეგმილი ღონისძიება. აი, რა გვითხრა მან: 14 იანვარს გათვალისწინებული შეჯიბრებები არ ჩატარდა იმის გამო, რომ 12 იანვარს უეცრად გაგვიჩნდა შესაძლებლობა ბაკურიანში საწვრთნელ შეკრებაზე გაგვეგზავნა სამხედრო-გამოყენებითი სახეობების ნაკრები გუნდები. წელს პირველად ჩატარდება საქალაქო და რესპუბლიკური შეჯიბრებები ამ სახეობებში, სადაც ჩვენი სპორტკლუბის წარმომადგენლებიც იასპარეზებენ. 14 იანვარს დაგეგმილი ღონისძიება მაინც გაიმართა, ოღონდ ბაკურიანში. თავს დამნაშავედ ვგრძნობთ იმაში, რომ რედაქციას და თბილისის სპორტკომიტეტს ზემოაღნიშნული ცვლილებების შესახებ წინასწარ არაფერი ვაცნობეთ.

მკითხველთა თხოვნით — ორთაბრძოლების აღმოსავლური სახეობები

## გვჭირდება ასოციაცია

**გაზეთ** „ლელოს" 12 იანვრის ნომერში უკვე გაცნობეთ იმ წარმატების შესახებ, რომელსაც თბილისელმა ახალგაზრდებმა მიაღწიეს მოსკოვის ოლქის ღია პირველობაზე უიარაღოდ ხელჩართულ ბრძოლაში. ახლა კი უფრო დაწვრილებით გაცნობებთ მათს შესახებ.

მოსკოვში ამ შეჯიბრებაზე რსფსრ-ის, უკრაინის, ბელორუსიის, ესტონეთისა და საქართველოს 80 სპორტსმენმა მოიყარა თავი. ჯერ ჩატარდა გამოცდა დარტყმის სიძლიერეში, მონაწილეებს ფეხითა და ხელით 4 სმ სისქის ფიცარი უნდა გაეტეხათ. ვინც ეს ვერ შეძლო, შეჯიბრებაზე არ დაუშვეს.

საქართველოს 6 სპორტსმენიდან, რომლებიც თბილისის არმიის სპორტული კლუბის სახელით ასპარეზობდნენ, ყველაზე უკეთესად გამოვიდნენ თეიმურაზ ცქიტიშვილი, რომელმაც II ადგილი დაიკავა 60 კგ-მდე წონის ათლეტთა შორის. 80 კგ წონით კატეგორიაში III ადგილზე გავიდა გიორგი ბაკურაძე. ორივე სპორტსმენს ზურაბ ლეჟავა ავარჯიშებს.

უიარაღოდ ხელჩართული ბრძოლა ჯარში გავრცელებული სახეობაა, მაგრამ ახლა მთელს ქვეყანაში, მათ შორის ჩვენთანაც, დღის წესრიგში დადგა კონტროლი გაეწიოს კარატეს, ჯიუ-ჯიცუს, უშუს, ტაეკვონდოსა და ორთაბრძოლების სხვა აღმოსავლურ სახეობების მოყვარულებს, რომლებიც ოფიციალური ნებართვის უქონლობის გამო სხვადასხვა „იატაკქვეშა", შენიღბულ ჯგუფებს ქმნიან, ასეთი მოქმედება კი არავითარ კონტროლს არ ექვემდებარება და მუდამ ქმნის ინციდენტებისა და უკანონო მოქმედების საშიშროებას, ხიფათს უქადის მოზარდების ჯანმრთელობასა და მომავალს.



ამიერიდან კი აღმოსავლურ ორთაბრძოლების სწავლას ოფიციალურად დაკანონებული, სწორი, გეგმაზომიერი მიმართულება მიეცემა. რამდენიმე დღის წინ მოსკოვში შედგა აღმოსავლური ორთაბრძოლების საბჭოთა ასოციაციის დამფუძნებელი ყრილობა, რომელშიც 10 მოკავშირე რესპუბლიკისა და სხვა რეგიონების დელეგატები მონაწილეობდნენ. ყრილობაში, საქართველოს სხვა დელეგატებთან ერთად, იმყოფებოდა თეიმურაზ ცქიტიშვილი, რომელსაც თბილისში დაბრუნებისას ესაუბრა ჩვენი კორესპონდენტი.

— საბჭოთა კავშირზე რომ არაფერი ვთქვათ, საქართველოში ბევრი ადამიანია გატაცებული აღმოსავლური ორთაბრძოლებით, — თქვა თ. ცქიტიშვილმა, — მათგან ერთადერთი კარატე იყო, რომლის სწავლებაც ოფიციალურად დაუშვეს, მაგრამ მასაც მალე დაადეს ტაბუ. ამ აკრძალვამ ბევრი ვერ შეაჩერა, ოღონდ მათ უკვე მალულად უხდებოდათ ვარჯიში. ყოველივე ამან კი ვარჯიშის უკონტროლო, მახინჯი ფორმები ჩამოაყალიბა, გახშირდა არაკომპეტენტური ადამიანების მიერ მასწავლებლის წოდებათა მითვისება და სხვა...

ახლა კი, ასოციაციის დამფუძნებელი კრების შემდეგ მდგომარეობა უნდა გამოსწორდეს. უკვე მკაცრად იქნება განსაზღვრული სწავლების ფორმები, მასწავლებელთა ლიცენზიები, რომელსაც ასოციაცია გასცემს. მოკლედ, შესაძლებელი გახდება ახალგაზრდების მისწრაფებათა დაკმაყოფილება ნეგატიური შედეგების გარეშე.

ვფიქრობ, უკვე დროა, რომ საქართველოშიც ჩამოყალიბდეს აღმოსავლურ ორთაბრძოლების რესპუბლიკური ფედერაცია, ეს ახლა ძნელი საქმე არ უნდა იყოს, საკავშირო დამფუძნებელ ყრილობაზე უკვე შეიმუშავეს ასოციაციის წესდება, რომელსაც მალე მივიღებთ, სპეციალისტები უკვე გვყავს და ვარჯიშის მსურველებიც მრავლად არიან.

**სურათზე: გიორგი ბაკურაძე (მარცხნივ) და თეიმურაზ ცქიტიშვილი.**

**ალექსანდრე კოტორაშვილის** ფოტოები.

საერთო ენთუზიაზმი

## „გთხოვთ გამაწევრიანოთ"...

თბილისის „დინამოს" საფეხბურთო კლუბის პირველი ნაბიჯები

**თბილისის** „დინამოს" ოსტატ ფეხბურთელთა გუნდისათვის საფეხბურთო კლუბის სტატუსის მინიჭების თაობაზე სპორტსაზოგადოება „დინამოს" რესპუბლიკური საბჭოს გადაწყვეტილების შესახებ ჩვენს მკითხველებს უკვე მივაწოდეთ რამდენიმე ინფორმაცია. კლუბი, როგორც ცნობილია, სრულ სამეურნეო ანგარიშზე იმუშავებს, რომლის შემოსავლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წყარო იქნება ინდივიდუალური და კოლექტიური შენატანები. მკითხველებს კლუბის პირველი წევრების ვინაობაც გავაცანით. რედაქციაში განუწყვეტლივ მოდის დეპეშები, სადაც ფეხბურთის მოყვარულები ითხოვენ კლუბში გაწევრიანებას.

ზესტაფონელთა მაგალითზე თბილისის „დინამოს" საფეხბურთო კლუბის კოლექტიური წევრობის სურვილი გამოთქვეს აგრეთვე გალის რაიონის ხუმუშქურის მეჩაიეობის საბჭოთა მეურნეობის მშრომელებმა. აი, რას გვატყობინებს დეპეშით ამ მეურნეობის დირექტორი ჯუმბერ სოტკილავა: „ჩვენმა 500 კაციანმა კოლექტივმა გადაწყვიტა გახდეს „დინამოს" კლუბის კოლექტიური წევრი და პრესაში ანგარიშის ნომრის გამოქვეყნებისთანავე კლუბს გადაურიცხავს 2.000 მანეთს. დინამოელებს ვულოცავთ ახალ წელს და ვუსურვებთ საუკეთესო წარმატებების განმეორებას".

ცალკეული პიროვნებებისაგან დეპეშები მივიღეთ რესპუბლიკის სხვადასხვა ქალაქებიდან და რაიონებიდან. ყველა მათგანში ერთი და იგივე სურვილია გამოთქმული — ჩარიცხონ კლუბის წევრად. ესენი არიან: ვასილ ბაბუცაძე (ცხინვალი), ინდირა სიხარულიძე (სოფ. მაჩხვარეთი, ლანჩხუთი), ნანა ძლიერიშვილი (სოფ. მჭადიჯვარი, დუშეთი), თამაზ ონიკაძე, ვახტანგ ონიკაძე, გია ღონღაძე (სამივე — ბორჯომი), ბადრი ბერაია, ჯემალ მირილაშვილი, ემზარ ბერაია, გენადი კილასონია, არჩილ კუპრეიშვილი (ყველა — ფოთი), გულივერ დოლიძე (ბათუმი), ედუარდ ღვინიძე (გორი), ივანე ჯანგობეგოვი (ბაკურიანი), ნინო სეხნიაშვილი (წითელი წყარო), მერაბ გელაშვილი (ხაშური), გურამ ამირაშვილი (სოფ. ველისციხე, გურჯაანი), როინ მიქაია, ფრიდონ ფეტელავა (ორივე — გალი), ავთანდილ შენგელია, ხვთისო ჭინჭარაული (ორივე — სამტრედია), ხათუნა ცინცაძე (სოფ. გვიმბალაური, ლანჩხუთი), ირინე დეკანოიძე (საჩხერე), ეკა ჯაჯანიძე (ჭიათურა), გიორგი გარსევანიშვილი, პაატა კვალიაშვილი (ორივე — სოფ. შინდისი, გორი), ია ნანდოშვილი (სოფ. ბოდბე, სიღნაღი), ზაზა ჭულუხიძე, კახა ჯაგუნავა, გივი თოხაძე, ლაშა გეგეჭკორი, კობა ფხაკაძე, გიორგი ნატროშვილი, ეკა ჯიშკარიანი, თინათინ ტაგანაშვილი, მანანა შოთაშვილი, ელგუჯა ტაგანაშვილი, შოთა გუჯაბიძე, დიმიტრი მელია, თენგიზ პატარაია (ყველა — თბილისი), ვეფხია დგებუაძე (სოფ. საბერიო, გალი), ნინო ბერაია (სოხუმი), ვიტალი კაჭარავა, ხათუნა ჭელიძე (ორივე — სოფ. ახუტი, ჩხოროწყუ), შორენა ატეიშვილი (სოფ. შრომა, გურჯაანი), თეიმურაზ ჩხეიძე (სოფ. შრომა, მახარაძე).

„ვარ „დინამოს" გულშემატკივარი 1946 წლიდან. თითქმის ყველა მატჩს ვესწრები შინ თუ გარეთ. გთხოვთ გამაწევრიანოთ კლუბში და მიმიჩინოთ ადგილი 24-ე სექტორის მე-12 რიგის მე-12 სკამზე. ყოველგვარ თანხას გადავიხდი. კავშირგაბმულობის ინჟინერი ალიოშა მარნაძე (ხაშური)".

მივიღეთ ოჯახის დეპეშაც. გურჯაანის რაიონის სოფელ ვაზისუბანში მცხოვრები შალვა ლაზარიშვილი „დინამოს" ხელმძღვანელობას სთხოვს კლუბის წევრად ჩათვალოს მისი ოჯახი.

თბილისის „დინამოს" ოსტატ ფეხბურთელთა გუნდი ამჟამად საზღვარგარეთ იმყოფება. შინ დაბრუნებისთანავე დინამოელებს გადავცემთ ყველა დეპეშას და მსურველთა კლუბის წევრობაც ოფიციალურად გაფორმდება.

გუშინ დავუკავშირდით სპორტსაზოგადოება „დინამოს" რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს ვახტანგ ოდიშვილს, რომელმაც გვთხოვა მადლობა გადავცეთ ყველას, ვინც სურვილი გამოთქვა გახდეს „დინამოს" საფეხბურთო კლუბის წევრი. „ლელოს" რედაქციაც მადლობას უძღვნის ჩვენი გუნდის გულშემატკივრებს საქველმოქმედო სურვილისათვის.

ფეხბურთის მოყვარულებს ვაცნობებთ, რომ ანგარიშის ნომერი, რომელზედაც გადაირიცხება საწევრო თანხა, ჩვენს გაზეთში გამოქვეყნდება ამ თვის ბოლოს, მას შემდეგ, როცა ჩატარდება კლუბის დამფუძნებელი კონფერენცია.

კლუბში წინასწარი გაწევრიანება გრძელდება.

# მინიფეხბურთი გზას იკაფავს



**ჰოლანდიაში** დამთავრდა პირველი მსოფლიო ჩემპიონატი მინიფეხბურთში დახურული დარბაზებისთვის. შეჯიბრებამ საერთაშორისო საფეხბურთო წრეების დიდი ინტერესი გამოიწვია.

ნახევარფინალებში წარმატებას მიაღწიეს ბრაზილიისა და ჰოლანდიის გუნდებმა. ბრაზილიელებმა მხოლოდ დაძაბული ბრძოლის შემდეგ შეძლეს გზა გაეკვალათ ფინალისკენ. მათი შეხვედრა ბელგიელ ფეხბურთელებთან დრამატულად წარიმართა, ძირითადი დრო დამთავრდა ფრედ — 0:0, დამატებითი დრო — 3:3 და მხოლოდ საბოლოოდ 11-მეტრიანებით შეძლეს ბრაზილიელებმა გამარჯვების მოპოვება — 8:6.

ჰოლანდიელებმა, ასევე დაძაბული ბრძოლის შემდეგ, შეძლეს წარმატების მოპოვება ამერიკის შეერთებული შტატების გუნდთან — 2:1 (1:0).

ნახევარფინალებში დამარცხებულები ერთმანეთს შეხვდნენ მესამე ადგილისთვის მატჩში, თამაშის ძირითადი დრო ფრედ დამთავრდა — 2:2, დამატებით დროში ამერიკელებმა მოახერხეს გადამწყვეტი ბურთის გატანა ბელგიელთა კარში — 3:2.

ფინალური მატჩი ბრაზილიისა და ჰოლანდიის გუნდებს შორის როტერდამის „აჰოის" დახურულ დარბაზში შედგა. როგორც იტყობინებიან, ეს იყო შესანიშნავი სანახაობა, ორივე გუნდის ფეხბურთელები გამოირჩეოდნენ დახვეწილი ტექნიკით, ბრაზილიელთა თამაშმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. მათ უკიდურესად მწვავე ბრძოლაში წარმატებას მიაღწიეს ანგარიშით 2:1 (1:0) და მინიფეხბურთში პირველი მსოფლიო ჩემპიონის წოდება მოიპოვეს. მატჩის დამთავრებას ორიოდე წუთი აკლდა, როცა ჰოლანდიელებმა რისკიან ექსპერიმენტს მიმართეს, მეკარე ტ. ბაკჰეისის ნაცვლად მოედანზე მინდვრის მოთამაშე ა. ბაკერი გამოიყვანეს, მაგრამ მაინც ვერას გახდნენ.

ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის გენერალურმა მდივანმა იოზეფ ბლატერმა ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ განაცხადა:

— მინიფეხბურთს მილიონობით ადამიანი თამაშობს, ამიტომაც ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციამ გადაწყვიტა პირველი მსოფლიო ჩემპიონატი ჩაეტარებინა. შეჯიბრებამ ყოველმხრივ გაამართლა. ცხადია, მინიფეხბურთი მომავალში კიდევ უფრო დიდ ავტორიტეტს მოიპოვებს, შემდგომი მსოფლიო ჩემპიონატის მასპინძლობაზე განაცხადები უკვე მოვიდა ჩინეთის, დანიის, იაპონიის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და პარაგვაის ფედერაციებიდან. ფიფა-ს პრეზიდენტი ჟოაო აველანჟი მართალი აღმოჩნდა, როცა ასეთ პროპაგანდას უწევდა მინიფეხბურთს. რა თქმა უნდა, დარბაზის ფეხბურთი განსხვავდება ჩვეულებრივისგან, მაგრამ ფეხბურთის ამ ახალმა სახეობამ კიდევ უფრო ფართო გავრცელება უნდა ჰპოვოს. მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილეობის უფლება დავრთეთ პროფესიონალ ფეხბურთელებსაც და მათი მონაწილეობა შეჯიბრებაში, რასაკვირველია, გარკვეულ წონას მატებს მინიფეხბურთს.

მსოფლიო ჩემპიონატს ესწრებოდა საბჭოთა კავშირის სპორტსახკომის წარმომადგენელი, პედაგოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი ს. ანდრეევი. მან განაცხადა, რომ გაწვლილი შეჯიბრება ძალზე საინტერესო იყო, მინიფეხბურთი ჩვენს ქვეყანაშიც ფართოდ უნდა გავრცელდეს. ეს თამაში ყველასათვის ხელმისაწვდომია და მისი ჩატარება წელიწადის ყოველ დროს შეიძლება. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ საბჭოთა კავშირის ნაკრები მონაწილეობას მიიღებს შემდგომ ჩემპიონატებში. ჰოლანდიელებმა საუკეთესოდ უმასპინძლეს პირველ მსოფლიო ჩემპიონატს, თამაშებს უამრავი მაყურებელი ესწრებოდა, გულშემატკივრებს ეგებებოდა ჰოლანდიის ეროვნული ნაკრების ნარინჯისფერ ფორმაში გამოწყობილი სიმბოლური ლომის ბოკვერი.

# საფეხბურთო რეზერვების აღზრდის მიზნით

**„ლელოს"** მკითხველები, სპორტის მოყვარულები დიდ დაინტერესებას იჩენენ იმით, რომ ხობის „კოლხეთის" ფეხბურთელთა გუნდი წლევანდელ სეზონში მონაწილეობას მიიღებს II ლიგის გუნდების საკავშირო პირველობაზე. თავისთავად ეს საინტერესო ამბავია, მაგრამ ბევრი მკითხველი მოითხოვს განმარტებას, ცნობილია, რომ საქართველოს სპორტსახკომმა შარშან მიიღო გადაწყვეტილება იმის თაობაზე, რომ საქართველოს ჩემპიონი 1989 წელს მონაწილეობას ვერ მიიღებდა II ლიგის საკავშირო შეჯიბრებაში.

საკითხის დაზუსტებისთვის განმარტება ვთხოვეთ საქართველოს სპორტკომიტეტის თავმჯდომარის პირველ მოადგილეს **ვახტანგ მახარაძეს.**

**— საქმე ისაა, რომ შარშანდელ სეზონში მეორე ლიგაში წარმატებით ითამაშეს ქუთაისის „ტორპედოს" ფეხბურთელებმა და I ლიგაში გამოსვლის უფლება მოიპოვეს, — თქვა ვ. მახარაძემ.—ამან შესაძლებლობა შეგვიქმნა საფეხბურთო რეზერვის მომზადების ახალი კერა გამოგვენახა. ხობი ცნობილია თავისი სპორტული ტრადიციებით, აქაურმა „კოლხეთმა" შარშან საქართველოს ჩემპიონობა მოიპოვა, გარდა ამისა, ხობს გააჩნია პირველხარისხოვანი სპორტული ბაზა და სტადიონი. საბოლოოდ მოგვიხდა დასავლეთ საქართველოში ჩამოგვეყალიბებინა საუწყებათშორისო ოლიმპიური მომზადების ცენტრის ახალი რგოლი, სადაც 23 წლის ასაკამდე ფეხბურთელები გაერთიანდებიან. ეს ჩვენი ახალგაზრდა საფეხბურთო რეზერვების მომზადების კიდევ ერთი საუკეთესო შესაძლებლობაა და მისი ხელიდან გაშვება, უბრალოდ, არ შეიძლება. ამიტომაც ხობელთა შარშანდელი წარმატებების საფუძველზე შეიქმნა ოლიმპიური მომზადების ახალი რგოლი და სწორედ მის ბაზაზე აქაური გუნდი მონაწილეობას მიიღებს II ლიგის საკავშირო ასპარეზობაში. თუ რა სახელწოდებით გამოვა ეს კოლექტივი წლევანდელ საკავშირო გათამაშებაში, ამას თვით ხობელები გადაწყვეტენ. იმედი გვაქვს ხობის სპორტული ორგანიზაციები, ხელმძღვანელი ორგანოები ყველაფერს გააკეთებენ, რათა აქაურმა ახალგაზრდულმა კოლექტივმა წარმატებით იასპარეზოს საკავშირო შეჯიბრებაში და ქართულ ფეხბურთს, ძირითადად კი I ლიგის სამ კოლექტივს—„ტორპედოს", „გურიას" და ბათუმის „დინამოს" ალუზარდოს ახალგაზრდა ფეხბურთელები.**

# 35-ე სკოლა — ფინალში

**მინიფეხბურთმა** ბოლო წლებში ჩვენს ქვეყანაში საკმაოდ მოიკიდა ფეხი. სასიხარულოა, რომ პირველ საკავშირო გათამაშებაში (1988 წელი, მოსკოვი) თბილისის ნაკრებმა გუნდმა, რომელიც ასპარეზობაზე „ვერას" სახელით იყო წარმოდგენილი, პირველი ადგილი დაიკავა.

მოსწავლეთა ზამთრის არდადეგების დღეებში ქალაქმა ნიჟნი კამსკიმ (თათრეთის ასსრ) უმასპინძლა სპორტსკოლათა საკავშირო პირველობას მინიფეხბურთში. ჩვენი რესპუბლიკა ამ ასპარეზობაზე თბილისის 35-ე სპეციალიზებული საფეხბურთო სკოლის გუნდით იყო წარმოდგენილი, კოლექტივმა ეს უფლება რესპუბლიკურ პირველობაში გამარჯვებით მოიპოვა.

ნიჟნი კამსკში თავი მოიყარეს 1974 წელს დაბადებულმა ჭაბუკებმა. ჩვენი გუნდის გარდა შეჯიბრებაში გამოდიოდნენ მოსკოვის, დუშანბეს, ერევნის, კუიბიშევის, ჩელიაბინსკის, მოგილიოვისა და დნეპროპეტროვსკის სპორტსკოლათა გუნდები, ისინი ორ ქვეჯგუფად იყვნენ დაყოფილი. ჩვენმა ფეხბურთელებმა ქვეჯგუფში თანმიმდევრულად დაამარცხეს მოსკოველი (1:0) და დუშანბელი (6:0) თანატოლები, მიუხედავად ბოლო მატჩში კუიბიშევის გუნდთან დამარცხებისა (1:3), ქვეჯგუფში პირველი ადგილი დაიკავეს. დებულების თანახმად ისინი მეორე ქვეჯგუფში გამარჯვებულ მოგილიოვის გუნდს შეხვდნენ. საინტერესო მატჩი თბილისელთა გამარჯვებით (3:2) დამთავრდა. თბილისის 35-ე სკოლისა და მოგილიოვის ფეხბურთელთა გუნდები ფინალურ შეჯიბრებაში მიიღებენ მონაწილეობას, რომელიც 25 მარტს აიღებს სტარტს (ფინალური შეხვედრების ჩატარების თარიღს მოგვიანებით შეგატყობინებთ).

დაწესებული იყო პრიზები გამორჩეული მოთამაშეებისთვის. საუკეთესო მეკარედ თბილისელი დ. ჩლაიძე მიიჩნიეს. ტურნირზე კარგი თამაშით თავი გამოიჩინეს ზ. ქამხაძემ, პ. ჯინჭარაძემ, ვ. დეკანოსიძემ და ი. ნადირაძემ. გუნდი შეჯიბრებისთვის მოამზადეს ნ. ლეჟავამ და ვ. ნადირაძემ.

# სერგეი ბალტაჩა „იფსვიჩში"

**კიევის** „დინამოსა" და სსრ კავშირის ნაკრების ცნობილი ფეხბურთელი, საბჭოთა კავშირის არაერთგზის ჩემპიონი სერგეი ბალტაჩა ინგლისის პროფესიულ კლუბ „იფსვიჩში" ჩაირიცხა. ეს პირველი შემთხვევაა საბჭოთა და ინგლისური ფეხბურთის ისტორიაში.

ს. ბალტაჩა ამჟამად 30 წლისაა. ლონდონის „ჰიტროუს" აეროპორტში ჟურნალისტებს განუცხადა, რომ დიდი სურვილი აქვს კარგად ითამაშოს „იფსვიჩში" და გუნდს მოეხმაროს კვლავ დაუბრუნდეს ინგლისური ფეხბურთის უმაღლეს ლიგას. შარშანდელი სეზონი მისთვის წარუმატებელი იყო ხშირი ტრავმების გამო, მაგრამ ახლა ყველაფერი წესრიგშია, ინგლისური ფეხბურთი მას ყოველთვის აინტერესებდა, ამიტომაც ამ ცნობილი კლუბის მიწვევას უყოყმანოდ დაეთანხმა.

ს. ბალტაჩას და მისი ოჯახის წევრებს „ჰიტროუს" აეროპორტში დახვდნენ „იფსვიჩის" დირექტორი დევიდ შიპშენქსი. მან განაცხადა, რომ კლუბის მენეჯერს ჯონ დუნკანს კარგა ხანია გადაწყვეტილი ჰქონდა ს. ბალტაჩას მიწვევა, რომელიც მას საერთაშორისო კლასის ფეხბურთელად მიაჩნია.

„იფსვიჩის" ხელმძღვანელობას დაგეგმილი აქვს ს. ბალტაჩა უახლოეს მატჩშივე გამოიყვანოს „სტოუკის" წინააღმდეგ.

# ვ. გრანატკინის მემორიალზე

**ლენინგრადის** დახურულ სპორტკომპლექსში გრძელდება ვ. გრანატკინის საერთაშორისო მემორიალი ჭაბუკ ფეხბურთელთა შორის.

სსრ კავშირის პირველი და მეორე გუნდების მატჩი დამთავრდა პირველი ნაკრების გამარჯვებით — 2:1. სამი ტურის შემდეგ ჩვენი პირველი გუნდი გათამაშების ლიდერია 5 ქულით. სსრ კავშირის მეორე ნაკრები, რომელიც 16 წლის ფეხბურთელებითაა დაკომპლექტებული, ლიდერს ერთი ქულით ჩამორჩება. 4 ქულა დააგროვეს ჩინელმა ფეხბურთელებმა, 2-2—ამერიკის შეერთებული შტატებისა და ბელგიის გუნდებმა და მხოლოდ ერთი — გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ნაკრებმა.

# საერთაშორისო ტურნირზე

**თბილისის** „დინამოს" ფეხბურთელთა გუნდი, როგორც ცნობილია, ამჟამად გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში იმყოფება, სადაც მინიფეხბურთის საერთაშორისო ტურნირში მონაწილეობს.

პირველი შეხვედრა დინამოელებს მასპინძლებთან ზაარბრიუკენის გუნდთან ჰქონდათ. თამაში დამთავრდა თბილისელთა გამარჯვებით ანგარიშით 3:2.

## საერთაშორისო ფეხბურთი: შედეგები, ცხრილები

გაიმართა უცხოეთის ქვეყნების საფეხბურთო ჩემპიონატებისა და თასის გათამაშების მორიგი კალენდარული მატჩები.

### იუგოსლავია

**მე-17 ტური.** „რარი" — „სლობოდა" 2:2 (4:1), „ცრვენა ზვეზდა" — „ვარდარი" 0:0 (3:4), „ჟელეზნიჩარი" — „ბუდუჩნოსტი" 4:1, „ველეჟი" — „ოსიეკი" 4:0, „სუბოტიცა" — „დინამო" (ზაგრები) 1:2, „რადნიჩკი ნიში" — „ჰაიდუკი" 0:0 (4:5), „ზენიცა" — „სარაევო" 2:0, „ვოივოდინა" — „პარტიზანი" 3:2, „რიეკა" — „ნაპრედაკი" 4:1.

| | | | |
|---|---|---|---|
| „ვოივოდ." (ნოვი სადი) | 17 | 28-16 | 22 |
| „დინამო" (ზაგრები) | 17 | 27-14 | 21 |
| „ჰაიდუკი" (სპლიტი) | 17 | 28-11 | 21 |

### იტალია

**თასის მეოთხედფინალები.** „ნაპოლი" — „ასკოლი" 3:0, „სამპდორია" — „ფიორენტინა" 3:0, „ვერონა" — „ატალანტა" 2:1, „ტორინო" — „ლაციო" 2:0.

### რუმინეთი

**I წრის შემდეგ:**

| | | | |
|---|---|---|---|
| „დინამო" | 17 | 72-16 | 33 |
| „სტიაუა" | 17 | 62-15 | 33 |
| „ვიქტორია" | 17 | 46-31 | 28 |

### პორტუგალია

**მე-20 ტური.** „ბოავისტა" — „პორტო" 4:1, „სეტუბალი" — „ბრაგა" 1:3, „პენაფიელი" — „ბენფიკა" 1:0, „სპორტინგი" — „ლეიქსოეში" 2:0, „გიმარაეში" — „ფარენსე" 3:0, „ნასიონალი" — „შავიში" 3:1, „ამადორა" — „ბეირა" 0:0, „ესპინიო" — „ბელენენსეში" 1:1, „პორტიმონენსე" — „მარიტიმო" 2:0, „ვისეუ" — „ფაფე" 2:0.

| | | | |
|---|---|---|---|
| „ბენფიკა" | 20 | 28-9 | 30 |
| „პორტო" | 20 | 22-11 | 28 |
| „სპორტინგი" | 20 | 25-16 | 24 |

### შოტლანდია

**28-ე ტური და გადატოვებული მატჩები.** „დანდი იუნაიტედი" — „აბერდინი" 1:1, „ჰამილტონი" — „მოზერველი" 0:2, „აბერდინი" — „ჰიბერნიანსი" 2:0, „სელტიკი" — „ჰამილტონი" 2:0, „მოზერველი" — „რეინჯერსი" 2:1, „რეინჯერსი" — „სელტიკი" 4:1, „სენტ მირენი"—„დანდი" 1:1, „დანდი" — „დანდი იუნაიტედი" 0:1, „ჰარტსი" — „სენტ მირენი" 2:0.

| | | | |
|---|---|---|---|
| „რეინჯერსი" | 28 | 36-17 | 33 |
| „დანდი იუნაიტ." | 28 | 30-12 | 32 |
| „აბერდინი" | 28 | 29-20 | 30 |

### საბერძნეთი

**მე-14 ტური.** „აეკი" — „ოლიმპიაკოსი" 1:2, „როდოსი" — „პაოკი" 1:1, „ლარისა" — „ირაკლისი" 3:1, „აპოლონი" — „ოფი კრეტა" 0:0, „არისი" — „ეთნიკოსი" 2:0, „პანათინაიკოსი" — „ლევადიაკოსი" 2:0, „კალამარია" — „დოქსა" 1:1, „პაიონისი" — „ვოლოსი" 3:2.

| | | | |
|---|---|---|---|
| „ოლიმპიაკოსი" | 14 | 27-12 | 19 |
| „აეკი" | 14 | 20-9 | 19 |
| „პაოკი" | 14 | 22-14 | 19 |

### თურქეთი

**მე-18 ტური.** „ბურსასპორი" — „კონიასპორი" 2:0, „ბეშიქთაში" — „ტრაბზონსპორი" 2:0, „ფენერბახჩე" — „სარისპორი" 3:2, „ესკიშეჰირსპორი" — „გალათასარაი" 1:1, „ადანასპორი" — „რიზესპორი" 3:1, „კარსიაკა" — „დემირსპორი" 2:3, „ბოლუსპორი" — „ალტაი" 2:0, „ზაქარიასპორი" — „სამსუნსპორი" 0:1, „მალატიასპორი" — „კაჰრამანი" 3:1.

| | | | |
|---|---|---|---|
| „ბეშიქთაში" | 18 | 44-8 | 44 |
| „ფენერბახჩე" | 18 | 44-14 | 43 |
| „სარისპორი" | 18 | 38-23 | 35 |

### ინგლისი

**თასის მე-3 ტური.** „კარლაისლი" — „ლივერპული" 0:3, „ლუტონი" — „მილუოლი" 2:3, „სატონ თაუნი" — „ქოვენთრი" 2:1, „შრუსბერი" — „კოლჩესტერი" 0:3, „კრიუ" — „ასტონ ვილა" 2:3, „ნოტინგემი" — „იფსვიჩი" 3:0, „ბერნსლი" — „ჩელსი" 4:0, „ბირმინგემი" — „უიმბლდონი" 0:1, „ბლექპული" — „ბორნმუტი" 1:0, „ბრედფორდი" — „ტოტენჰემი" 1:0, „ბრაიტონი" — „ლიდსი" 1:2, „დერბი" — „საუთჰემპტონი" 1:1, „ჰადერსფილდი" — „შეფილდი" 0:1, „მანჩესტერ სიტი" — „ლეიჩესტერი" 1:0, „მანჩესტერ იუნაიტედი" — „ქუინს პარკი" 0:0, „მიდლსბრო" — „გრიმსბი" 1:2, „ნიუკასლი"—„უოტფორდი" 0:0, „ვესტ ბრომვიჩი" — „ევერტონი" 1:1, „ვესტ ჰემი" — „არსენალი" 2:2.

(საქ. ინფ.).

# ვეტერანის სახელობისა

**საინტერესოდ** წარიმართა ფეხბურთის გამოჩენილი მწვრთნელის, სპორტის დამსახურებული ოსტატის ანდრო ჟორდანიას სახელობის თასის გათამაშება, რომელშიც კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ფეხბურთელთა გუნდები მონაწილეობდნენ. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ 1988 წლის შეჯიბრებას თავი აარიდეს აფხაზეთის, აჭარისა და ზოგიერთი იმ რაიონის გუნდებმა, რომლებიც მოვალენი იყვნენ შეჯიბრებაში გამოსულიყვნენ.

ნახევარფინალებში ერთმანეთს შეხვდნენ გეგეჭკორის რაიონის დიდი ჭყონისა და ვანის რაიონის დიხაშხოს, აგრეთვე, მახარაძის რაიონის ნატანებისა და აბაშის რაიონის სოფელ პირველი მაისის გუნდებმა. ამ მატჩებში წარმატებას დიხაშხოელმა და ნატანებელმა ფეხბურთელებმა მიაღწიეს და ფინალშიც ისინი შეხვდნენ ერთმანეთს.

დიხაშხოს „იმედისა" და ნატანების „ნარინჯის" მატჩმა დიდი ინტერესი გამოიწვია, მეტოქეები დიდი მონდომებით იბრძოდნენ გამარჯვებისთვის, საბოლოოდ მატჩი ნატანების „ნარინჯის" გამარჯვებით დამთავრდა — 3:1.

„ნარინჯი" ნატანების კოლმეურნეობის გუნდია, კოლმეურნეობის თავმჯდომარეა სოციალისტური შრომის გმირი გ. წითლიძე, ხოლო გუნდის მწვრთნელი — ა. თადუმაძე.

**არდევან ნიკოლაიშვილი.**

⚽⚽⚽⚽⚽⚽⚽⚽⚽⚽⚽

## არგენტინელთა უახლოესი მატჩები

**მსოფლიო** ჩემპიონი არგენტინის ნაკრები მარტ-აპრილში სამხრეთ ამერიკის პირველობის 3 შესარჩევ მატჩს გამართავს ბუენოს-აირესში: 9 მარტს — კოლუმბიასთან, 30 მარტს — პერუსთან, 27 აპრილს—ბოლივიასთან. ამას გარდა, არგენტინელები ამხანაგურ მატჩებში შეხვდებიან პარაგვაისა და ბრაზილიას.

# უმაღლეს სასწავლებლებს შორის



**საქართველოს** უმაღლესი სასწავლებლების საფეხბურთო პირველობა ყოველთვის დიდ ინტერესს იწვევს, 1988 წლის გათამაშებაში, რომელიც გასული წლის ბოლოს გაიმართა, მონაწილეობა მიიღო რესპუბლიკის 10 უმაღლესი სასწავლებლის გუნდმა, რომლებიც ორ წრედ, საკუთარ და მეტოქის მინდვრებზე ხვდებოდნენ ერთმანეთს.

დაძაბული ბრძოლების შემდეგ ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ საქართველოს ზოოტექნიკურ-სავეტერინარო სასწავლო-კვლევითი ინსტიტუტისა და გორის ეკონომიკის ინსტიტუტის გუნდები. საინტერესო მატჩი დამთავრდა ზოოტექნიკოსთა სასარგებლოდ — 1:0 (მწვრთნელი ე. გუგუშვილი), გამარჯვებული გუნდი დაჯილდოვდა გარდამავალი თასით.

უმაღლესი სასწავლებლების რესპუბლიკური საფეხბურთო შეჯიბრება მნიშვნელოვანი ღონისძიებაა და მით უფრო დასანანია, რომ მასში მონაწილეობას თავს არიდებენ ჩვენი ზოგიერთი უმაღლესი სასწავლებლის გუნდები.

**თენგიზ კუზლაშვილი,**
**საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

სსრ კავშირის ჩემპიონატი კალათბურთში

# მესამე და მეოთხე წრის კალენდარი

**უმაღლესი** ლიგის კალათბურთელ ქალთა საკავშირო ჩემპიონატის პირველი და მეორე წრის მატჩები ჯერ არ დამთავრებულა, თებერვალში კი დაიწყება მესამე და მეოთხე წრე. გთავაზობთ ამ შეხვედრათა გრაფიკს.

**3-4 თებერვალი.** „სტატიბა“ (ვილნიუსი) — „დინამო“ (თბილისი).
**4-5 თებერვალი.** „ჟალგირისი“ (კაუნასი) — „სტროიტელი“ (კიევი).
**6-7 თებერვალი.** „დინამო“ (მოსკოვი) — ვეფ (რიგა), „შახტიორი“ (დონეცკი) — ცსკა.
**7-8 თებერვალი.** „ჟალგირისი“ — „დინამო“ (თბილისი) — პირველი და მეორე წრის მატჩები.
**9-10 თებერვალი.** „სტროიტელი“ — ცსკა.
**10-11 თებერვალი.** „სპარტაკი“ (ლენინგრადი) — „დინამო“ (მოსკოვი), „სტატიბა“ — „ჟალგირისი“.
**13-14 თებერვალი.** ცსკა — ასკ (ალმა-ათა).
**14-15 თებერვალი.** „სტატიბა“— „დინამო“ (მოსკოვი), „კალევი“ (ტალინი) — „დინამო“ (თბილისი).
**17-18 თებერვალი.** „სტროიტელი“ — რტი (მინსკი), „სპარტაკი“—ასკ.
**18-19 თებერვალი.** ცსკა — „სტატიბა“, „კალევი“ — „შახტიორი“.
**21-22 თებერვალი.** „დინამო“ (მოსკოვი) — „შახტიორი“, „კალევი“ — ასკ.
**22-23 თებერვალი.** „დინამო“ (თბილისი) — ვეფ
**25-26 თებერვალი.** რტი — „სპარტაკი“.
**26-27 თებერვალი.** ასკ — ვეფი
**27-28 თებერვალი.** „დინამო“ (თბილისი) — „ჟალგირისი“, ცსკა — „სტროიტელი“. პირველი და მეორე წრის მატჩები.
**1-2 მარტი.** „სტატიბა“ — „სპარტაკი“.
**3-4 მარტი.** „ჟალგირისი“ —„შახტიორი“, ვეფ — „სტროიტელი“.
**4-5 მარტი.** ცსკა — „დინამო“ (თბილისი).
**5-6 მარტი.** „სტატიბა“ — რტი.
**6-7 მარტი.** ვეფ — „შახტიორი“.
**7-8 მარტი.** „ჟალგირისი“ — „დინამო“ (მოსკოვი), „სტროიტელი“— ასკ.
**8-9 მარტი.** „სპარტაკი“ — „დინამო“ (თბილისი).
**10-11 მარტი.** „შახტიორი“ — ასკ.
**11-12 მარტი.** რტი — „დინამო“ (მოსკოვი), „კალევი“ — ვეფ.
**15-16 მარტი.** „შახტიორი“ — „სტატიბა“.
**16-17 მარტი.** „დინამო“ (თბილისი) — რტი.
**17-18 მარტი.** ვეფ — „სპარტაკი“.
**18-19 მარტი.** „ჟალგირისი“ — ცსკა. პირველი და მეორე წრის შეხვედრები, „სტროიტელი“ — „სტატიბა“.
**20-21 მარტი.** „შახტიორი“ — რტი.
**21-22 მარტი.** „ჟალგირისი“ — „სპარტაკი“.



**22-23 მარტი.** „სტატიბა“ — „კალევი“.
**25-26 მარტი.** რტი — ასკ, „ჟალგირისი“ — „კალევი“.
**26-27 მარტი.** „დინამო“ (მოსკოვი) — „სტროიტელი“.
**27-28 მარტი.** „სპარტაკი“ — ცსკა.
**30-31 მარტი.** „კალევი“ — ცსკა. პირველი და მეორე წრის შეხვედრები, ასკ — „სტატიბა“.
**31 მარტი — 1 აპრილი.** „სტროიტელი“ — „ჟალგირისი“ პირველი და მეორე წრის შეხვედრები, ვეფ — რტი.
**3-4 აპრილი.** „კალევი“ — რტი.
**4-5 აპრილი.** „დინამო“ (თბილისი) — „შახტიორი“, ასკ — „დინამო“ (მოსკოვი).
**5-6 აპრილი.** „სპარტაკი“ — „სტროიტელი“
**8-9 აპრილი.** ვეფ — „სტატიბა“, „დინამო“ (თბილისი) — „დინამო“ (მოსკოვი), რტი — „ჟალგირისი“.
**9-10 აპრილი.** „კალევი“ — „სტროიტელი“.
**11-12 აპრილი.** ცსკა — „ჟალგირისი“.
**14-15 აპრილი.** „შახტიორი“ — „სპარტაკი“.
**15-16 აპრილი.** „სტროიტელი“ — „დინამო“ (თბილისი), „დინამო“ (მოსკოვი) — „კალევი“, ასკ — „ჟალგირისი“.
**16-17 აპრილი.** ვეფ — ცსკა.
**19-20 აპრილი.** რტი — ცსკა, „ჟალგირისი“ — ვეფ, ასკ — „დინამო“ (თბილისი), „შახტიორი“ — „სტროიტელი“, „სპარტაკი“ — „კალევი“.
**22-23 აპრილი.** „სტატიბა“ — ცსკა. პირველი და მეორე წრის შეხვედრები.

---

## ფ. ბ. ჭელიძე



მოულოდნელად გარდაიცვალა საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელი ფეხბურთში, რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი, ნორჩი თაობის გულისხმიერი, უნარიანი აღმზრდელი ფარვიზ (ბორის) ბენედიქტეს ძე ჭელიძე. ვეტერან ფეხბურთელთა და მწვრთნელთა რიგებს გამოაკლდა გამოცდილი, ამაგდარი სპეციალისტი, რომელმაც თავისი ცხოვრება ფეხბურთს შესწირა.

ფ. ჭელიძე დაიბადა 1925 წელს ბათუმში. ფეხბურთის თამაში ბავშვობიდან დაიწყო, 1938 წელს გამოდიოდა თბილისის სპორტსკოლის გუნდში. 1943 წელს გაიწვიეს საბჭოთა არმიის რიგებში, მონაწილეობა მიიღო სამამულო ომში გერმანიისა და იაპონიის ფრონტებზე. რამდენიმე წლის მანძილზე საბჭოთა არმიის გუნდებში თამაშობდა, გამოდიოდა შორეული აღმოსავლეთის ნაკრების შემადგენლობაშიც. სწორედ არმიაში სამსახურის დროს გაიარა მწვრთნელთა და მსაჯთა მოსამზადებელი კურსები, ამავე დროს წარმატებით გამოდიოდა საფარიკაო ბილიკებზეც.

არმიიდან დემობილიზაციის შემდეგ ფ. ჭელიძე მთლიანად საფეხბურთო სამუშაოზე გადავიდა, მიიღო რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯის წოდება, ემსახურებოდა როგორც რესპუბლიკური, ისე საკავშირო მნიშვნელობის მატჩებს.

ფ. ჭელიძემ დიდი ავტორიტეტი მოიხვეჭა როგორც ბავშვთა შორის მომუშავე მწვრთნელმა. საკმარისია ითქვას თუნდაც მხოლოდ ის, რომ სწორედ მან დაულოცა გზა დიდ ფეხბურთში დათო ყიფიანს, მისი ხელმძღვანელობით მიიღეს საფეხბურთო ნათლობა თ. ლოლობერიძემ, ი. ზაზროევმა, თ. მიქაშავიძემ, ბ. მესხიძემ, ი. ჯანშიევმა, ო. იობიძემ და სხვა მრავალმა. არაერთხელ გამოსულან წარმატებით საკავშირო შეჯიბრებებზე მისი ხელმძღვანელობით რესპუბლიკის ჭაბუკთა და მოზარდთა ნაკრები გუნდები, გარდა ამისა, ფ. ჭელიძე წვრთნიდა ოსტატთა გუნდებს (რუსთავის „მეტალურგი“, თბილისის „სპარტაკი“, ტყიბულის „მეშახტე“, ჭიათურის „მაღაროელი“ და სხვ.). ბოლო ხანებში ხელმძღვანელობდა თბილისის „იმედს“, რომელიც რესპუბლიკურ პირველობაზე გამოდიოდა.

წავიდა ჩვენგან ფეხბურთის კარგი სპეციალისტი, ფეხბურთზე უსაზღვროდ შეყვარებული კაცი. ფ. ჭელიძის სახელი მუდამ დარჩება მისი აღზრდილების, მეგობრებისა და ახლობლების გულში.

**საქართველოს სსრ ფეხბურთის ფედერაცია, ვეტერანი ფეხბურთელები.**

---

## ახალი წიგნი

## „ჭადრაკის სამყაროში“




**ახლახან** გამომცემლობა „განათლებამ“ შესანიშნავი საჩუქარი მოუმზადა ჭადრაკით დაინტერესებულ მოზარდებს. გამოვიდა პედაგოგიკის მეცნიერებათა კანდიდატის ვიოლეტა კუპრაშვილის სახელმძღვანელო „ჭადრაკის სამყაროში“. წიგნის ანოტაციაში ვკითხულობთ, რომ იგი პირველდაწყებითი სახელმძღვანელოა და უმცროსკლასელთათვისაა გათვალისწინებული.

„წიგნი მიზნად ისახავს გააცნოს ნორჩებს თამაშის ელემენტარული წესები (დაფა, ფიგურები, ფიგურების მოძრაობა, აყვანა, ქიში, ყაიმი, პატი) და მიზანი (მამათი). წესები ისეა ახსნილი, რომ საჭადრაკო ნოტაცია ბავშვს არ მოეთხოვება. მასში შეტანილია, აგრეთვე, საჭადრაკო ისტორიიდან ამოღებული საინტერესო ფაქტები, ცნობები გამოჩენილ მოჭადრაკეებზე, თავსატეხები, ამოცანები, სავარჯიშოები“. — ვკითხულობთ იქვე.

სახელმძღვანელო მშვენივრადაა გაფორმებული, სწორედ ამის და ავტორის სადა ენის წყალობით ბავშვი იოლად აღიქვამს მასალას და ინტერესით კითხულობს და სწავლობს მას. სახელმძღვანელო მხატვრულად გააფორმა პედაგოგიკის მეცნიერებათა კანდიდატმა მიხეილ სოლოვიოვმა. რედაქტორია ოთარ თურქესტანიშვილი. წიგნის ტირაჟი 10 ათასი ეგზემპლარია, ფასი — 10 კაპ.

---

## უფლება მოიპოვეს, მაგრამ...

**სიდნეი.** ახალი სამხრეთ უელსის ჩოგბურთელთა ღია ჩემპიონატის ფინალში, როგორც ვიწინასწარმეტყველეთ, გავიდნენ უფლი ანდრეი ჩერკასოვი და მსოფლიოს მე-14 ჩოგანი აარონ კრიკშტეინი (აშშ). გადამწყვეტი ბრძოლა ამერიკელის უპირატესობით აღინიშნა და დამთავრდა მისივე გამარჯვებით 6:4, 6:2.

ტურნირის დამთავრების შემდეგ შეჯიბრების მონაწილენი მელბურნს გაემგზავრნენ, სადაც ავსტრალიის ღია ჩემპიონატი — „დიდი მუზარადის“ პირველი ოფიციალური შეჯიბრება ჩატარდება. სამწუხაროდ, მასში ვერ გამოვლენ საბჭოთა ჩოგბურთელები, რომლებმაც დევისის თასის გათამაშების წინ სპეციალური აკლიმატიზაცია უნდა გაიარონ. არა და ავსტრალიის ღია ჩემპიონატში თამაშის უფლება მათ მოპოვებული ჰქონდათ.

---

## დიდი ხნის შემდეგ

**28 ქვეყნის** სპორტსმენები მონაწილეობენ ევროპის ჩემპიონატში ფიგურულ ციგურაობაში, რომელიც გუშინ დაიწყო ინგლისის ქალაქ ბირმინგემში, მათგან 14 საბჭოთა კავშირიდანაა. მათ შორის ხუთი დებიუტანტია ქვეყნის ჩემპიონი კიეველი ნატალია გორბენკო, სპორტული წყვილი ლენინგრადიდან ნატალია კვიტჩენკო და რაშიდ კადირკაევი, მოსკოველი დიმიტრი გრომოვი და ოდესელი ვიაჩესლავ ზაგოროდნიუკი.

სსრ კავშირის ნაკრებში ყველაზე გამოცდილი სპორტსმენებია ლენინგრადელები ნატალია სელეზნიოვა და ოლეგ მაკაროვი — გასული წლის მსოფლიო ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორები.

კონტინენტის ჩემპიონატი ფიგურულ ციგურაობაში „ნისლიან ალბიონზე“ მეორედ ტარდება. პირველად ეს ასპარეზობა აქ 1933 წელს გაიმართა. ორგანიზატორები გულმოდგინედ ემზადებოდნენ ამ შეჯიბრებისთვის და ძალზე საწყენად დარჩათ, რომ ბირმინგემში ვერ გამოვა ბევრი ტიტულოვანი ფიგურისტი, მათ შორის ოლიმპიური ჩემპიონები სპორტულ წყვილთა შორის ეკატერინა გორდეევა და სერგეი გრინკოვი.

ასპარეზობა გახსნეს ვაჟებმა სავალდებულო პროგრამით.

---

**კლინგენტალი** (გდრ). 30 კილომეტრზე სათხილამურო რბოლა ჩეხოსლოვაკიელი ელიზბეტა ნავრანჩიკოვას გამარჯვებით აღინიშნა — 1:29. 30,9. გდრ-ის წარმომადგენელ გაბრიელე ჰესს 1:30.29,6 ჰქონდა, ნორვეგიელ მარიანა დალმს კი — 1:30.39,5. საბჭოთა მოთხილამურეთაგან საუკეთესო შედეგი (IV ადგილი) ნატალია ჩერნიხმა აჩვენა — 1.30.46,1.

**სტოკჰოლმი.** მოთხილამურე ვაჟთა მსოფლიო თასის გათამაშებაში ლიდერობს შვედი გუნდე სვანი — 120 ქულა. მომდევნო ადგილებზე არიან პალ-ჰუნარ მიკელპლასი (ნორვეგია) — 100 ქულა და ვეგარდ ულვანგი (ნორვეგია — 88 ქულა.

**ბუდაპეშტი.** უნგრეთის დედაქალაქში ჩატარდა საერთაშორისო შეჯიბრება მოფარიკავეთა მსოფლიო თასის პროგრამით, რომელიც მოიგო 22 წლის კუიბიშეველმა ტატიანა სადოვსკაიამ. ტურნირში 14 ქვეყნის 110 მოფარიკავე ქალი მონაწილეობდა.

**პარიზი.** ხელბურთელთა აქ გამართულ საერთაშორისო ტურნირში ლენინგრადის „ნევამ“ დაამარცხება განიცადა ფინალში რუმინეთის ნაკრებთან (20:25) და მეორე ადგილი დაიკავა.

**ჰარახოვი** (ჩეხოსლოვაკია). თხილამურებით ტრამპლინიდან ხტომაში მსოფლიო თასის ერთ-ერთი ეტაპი მოიგო შვედმა იან ბოკლევმა. 90 მეტრიან ტრამპლინზე პირველ ცდაში 116,5 მეტრი აჩვენა, მეორეში კი ერთი მეტრით ნაკლები.

**ბივაბიკი** (მინესოტას შტატი, აშშ). 10 კილომეტრზე ქალთა რბოლაში ქვეყნის ჩემპიონი გახდა 32 წლის ნენსი ფიდლერი. ვაჟთა შორის 30 კილომეტრზე რბოლა ტოდ ბოონსტრამ მოიგო. ორივე სპორტსმენმა მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილეობის უფლება მოიპოვა.

**დავოსი.** ოლიმპიურმა ჩემპიონმა ციგებით სრიალში უვე-იენს მაიმ (გდრ) მსოფლიო თასის გათამაშებაში პირველი მარცხი იწვნია. მას 500 მეტრიან დისტანციაზე ამერიკელმა დენ ჯენსენმა აჯობა — 36,91. მაის შედეგი 37,08 იყო. საბჭოთა სპორტსმენები ამ შეჯიბრებაში არ გამოდიოდნენ.

**რეიტ იმ ვინკლი** (გფრ). სათხილამურო ორჭიდში მსოფლიო თასის მორიგი ეტაპის შემდეგ ლიდერთა რიგები შეიცვალა. დაწინაურდა ნორვეგიელი ტრონდ-არნე ბრედესენი — 59 ქულა. ლიდერს 4 ქულით ჩამორჩება შვეიცარიელი იპოლიტ კემპფი. მესამე ადგილზეა ავსტრიელი კლაუს ზულცენბახერი — 46 ქულა.

---

## „სპორტლოტო“

**გუშინწინ** მოსკოვში შედგა „სპორტლოტოს“ მორიგი მესამე ტირაჟები.

**„სპორტლოტო 6 45“-დან:** 2 (ბიატლონი), 16 (საცხენოსნო სპორტი), 26 (თანამედროვე ხუთჭიდი), 36 (მხატვრული ტანვარჯიში), 43 (ტურიზმი), 45 (შაში).

**„სპორტლოტო 5 36“-დან:** 4 (კრივი), 8 (ტრეკზე ველორბოლა), 19 (სათხილამურო რბოლები), 27 (მშვილდოსნობა), 31 (ფარიკაობა).

---

„ლელოს“ შემდეგი ნომერი გამოვა ხუთშაბათს, 19 იანვარს.

რედაქტორი
**თ. გაჩეჩილაძე.**

**ჩვენი მისამართი:**
წერილებისთვის — 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14,
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“,

**რედაქციის ტელეფონები:**
წერილების განყოფილება — 93-97-55,
სამდივნო — 93-97-52,
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53,
„მერანი“ — 93-97-26, „მართვე“ — 93-97-27.

**ჩვენი ინდექსი** 66435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 უე 05688